სამშობლო

ხუთშაბათი

26 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამა-ტებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: [illegible] მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ[illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 232 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 232

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

უფლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის ნებართვით და ლოცვაკურთხევით,

პარასკევს, 27 და კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში

გაიმართება პირველად ქუთაისში

დიდი ქართული სასულიერო მხატვრული საგალობელთა

საღამო-კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილის ლოტბაროზით.

შესრულებული იქნება: ძველი საეკლესიო საგალობელნი, პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტის საუკეთესო ნომრები და სხვადასხვა რჩეული სამუსიკო ნაწარმოები.

საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალვაჟისაგან.

ბილეთები ამთავითვე იყიდება კ. ოცხელისა და მთავრიშვილის მაღაზიაში. 6—4

ცალკე აფიშები არ იქნება გაკრული.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: იოსებ პეტრეს ძე გვარამია, ქეთო გიორგის ასული გვარამიასი, ტუტკე (პეტრე), ნინა, ელენე, გრიშა, საშა, თამარა და ბიჭიკო იოსების ძე და ასულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, პირველნი ორი დაუვიწყარი შვილის, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასის ძმის **ქუთაისის რეალური სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფის**

ვალიკო (ვარლამ) იოსების ძე გვარამიას

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე მეორე ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარ სახლში.

გრიგოლ გენძეხაძე, ანტონ წულეისკირი, სერგი სულაკველიძე, გრიგოლ ნუცუბიძე და ივანე კანდელაკი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი ამხანაგი, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოწაფე

ვარლამ (ვალიკო) გვარამია,

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, მეორე ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 2—1

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. **კვინიხიძის** ქალთა პროგიმნაზიის სადგომში

გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.

სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 26 ნოემბრიდან ახალი პროგრამა.

შუა უდევს დიდი ზღვარი.

ძლიერი დრამა 4 ნაწილათ, ცნობილ მსახიობის ნავარის მონაწილეობით.

პრენს დამბლა დაეცა. კომიკური სურათი პრენსის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 30 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა მხოლოდ მოზრდილთათვის

ეკატერინე ივანეს ასული. კინო პიესა 6 ნაწილათ, ლეონიდ ანდრეევის მონაწილ. დადგმული.

უმთავრეს როლებში მონაწილეობენ მოსკოველი გამოჩენილი არტისტები: მ. ნ. გერმანოვისა, მ. ა. დუროსოვისა, ნ. ნ. ბერსენევი, ს. ნ. ვორონოვი, ნ. [illegible] ნ. რ. ნიკოლსკი და სხვები.

1915 წ.
ნოემბერი
26
ხუთშაბათი

ანონსი:

მზადდება:

ივ. ბარველის „ტახტის მემკვიდრე“ შერვაშიძის „გიორგი მე-Ш-მე“.

ალ. ყაზბეგიძეილის ბენეფისი.

„ქართული დრამა“. № 25

ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

პირველად ახალი ისტორიული პიესა

უგვირგვინო მეფენი.

5 მოქ.

ავტორი ს. შანშიაშვილი.

გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან

ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟისორი **შალვა დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—2

მოქალაქენო!

ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, დაიწყობს მოქმედებას

კოოპერატიული ფურნე.

სიძვირისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო საშუალებაა—თვით მომხმარებელთა ორგანიზაცია. ჩაეწერეთ წევრებათ საზოგადოებაში, გახდით მისი მუდმივი მომხმარებელი და მით უზრუნველყავით თქვენთვის ფრიად სასარგებლო დაწესებულების არსებობა. არ დაივიწყოთ რომ ძალა ერთობაშია, გახსოვდეთ რომ სადი პური უსაჭიროესი მოთხოვნილებაა ადამიანისთვის.

პური გაიყიდება: ა) **მწვანე ბაზარში**—საზოგადოების კიოსკში, და, ბ) თვით ფურნეში—გენერალის ქუჩა, ექიმ შენგელიას სახლში. იქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა.

ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“.

Фортепіанный техникъ и Спец.

Настройщикъ

Я. М. КСЕНДЗАЦКІЙ

Продолжаетъ еще работы до 27 ноября сего 1915 года. Включительно. Гост. „ФРАНЦІЯ“. 2—2

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—გალიცკისა

[illegible] ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—6 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დადეშქელიანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვხპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, პირფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისთვის **ვამზადებ მოწაფეებს**, გეზამენის დაჭერა უზრუნველ უოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, ბარეკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 23 ნოემბერი. დღის ოფიციალური ცნობა. მთელს ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ცეტინიე. 22 ნოემბერი. ოფიციალური ცნობა. 21 ნოემბერს მტერმა ენერგიული იერიში მოიტანა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ მდ. ჩებოტონის მარცხენა ნაპირზე. იერიში მოგერიებულ იქნა და ხელში ჩავიგდეთ ტყვეები. ასევე მოვიგერიეთ იერიშები ბრედარევასა და ბკლოპოლოიაზე მოტანილი. მტერმა დიდი ზარალი ნახა.

რომი. 23 ნოემბერი. მთავარ ბანაკის ცნობა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, მთელს ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა გაანადგურა მტრის სანგრები ვალაის რაიონში და კარნში გაფანტა მტრის ჯარის ნაწილები. მტრის არტილერია ცეცხლს უშენდა პუამარეს კიარცეს პალის ზემო ნაწილში და აგრეთვე ნოიფალკოფეში, სადაც მცირეოდენი ზარალი მოგვაყენა. მტრის რაზმები ნისლის წყალობით რამდენიმე ადგილას შეეცადენ გაერღვიათ ჩვენი ხაზები, მაგრამ ყველგან უკუქცეულ იქნენ. ჩვენ მედგარ შეტევას შედეგათ მოყვა რამდენიმე მანძილზე ჩვენი წინ წაწევა კარსოსკენ.

პარიზი. ღამის ოფიციალური ცნობა. დღის განმავლობაში საკმაო ძლიერი საარტილერიო სროლა იყო არტუაში და ლოოსის მიდამოებში და სუშეში. ასეთივე სროლა იყო სომსა და უაზს შუა მდებარე ადგილებში, სადაც ჩვენი ბატარეია უშენდა. მტრის კოლონასა და ბარგს. ძლიერი საარტილერიო სროლა იყო სენტუპლ-ნასიკის რაიონებსა და არგონებში.

დარდანელთან.

ორივე მხრიდან ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. ჩვენი ბატარეია ყუმბარებს უშენდა მტრის გუშების ჯგუფს კერევსედერის შესართავის რაიონში. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ლიდძალი ყუმბარები ჩამოყარეს ოსმალთა ბანაკში.

ჰავრი. ბელგიის ცნობა. ჩვენს ფრონტზე ქვეითა ჯარის შეტაკებები არ ყოფილა. ჩვენმა ბატარეიამ არა ერთჯელ დაუშინა ყუმბარე გერმანელების რაზმებს. [illegible]ლებსთაი. გერმანელის არტილერიამ მცირე ენერგიული მოქმედება გამოიჩინა დღის მეორე ნახევარში, სადაც ჩვენი ბატარეია პასუხით შეხვდა.

ლონდონი. 23 ნოემბერი. სააღმირალო იუწყება, რომ ინგლისის წყალქვეშა ნავმა, რომელიც მარმარილოს ზღვაში მოქმედებდა, 19 ნოემბერს სროლი აუტეხა მატარებელს გერმანელების რკინის გზაზე და სერიოზული ზიანიც მიაყენა. 20 ნოემბერს წყალქვეშა ნავმა ნაღმით დაღუპა ოსმალების კონტრაბანდოსანი „ირესხარ"-ი. ამავე დროს კამანდა ხელში ჩაიგდო, რომელშიც იყვენ 2 აფიცერი, 40 მეზღვაური; გადასხა იგინი იალქნიან გემზე. 21 ნოემბერს წყალქვეშამ დაღუპა დატვირთული ორთქლმავალი 3000 ტონისა. დაბოლოს გაანადგურა არტილერიის ცეცხლით ოთხი ხომალდი სამხედრო სურსათით დატვირთული.

ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარი იუწყება, რომ გერმანელ ტეუნსეიდის რაზმმა შეუტაკებლათ მიაღწია კუტალამარამდიო.

პარიზი. 24 ნოემბერი. დღის ოფიციალური ცნობა. წარსულ ღამეს ცვლილება არ მომხდარა გარდა წვრილ-წვრილი შეტაკებისა, რომელიც მოუხდა ჩვენს მოწინავე რაზმს სეისუპლის სამხრეთ ნაწილში.

ლონდონი. 21 ნოემბერი. ფელდმარშალი ფრენჩი იტყობინება, რომ მოხდა რამდენიმე საჰაერო ბრძოლა, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა. ჩვენმა არტილერიის ძლიერმა ცეცხლმა, გაანადგურა მტრის ჰაეროპლანები, და რამდენიმე ადგილ-ს დაანგრია მტრის თხრილები. სანაღმო ბრძოლა ორივე მხრივ გრძელდება. რამდენიმე ადგილას განადგურებულ იქნა მტრის მავთულებიანი ხლართები. ჩვენ ავაფეთქეთ მტრის ნაღმები, ფრილინგის ახლო. მტერმა გვიპასუხა თავიანთი ნაღმების აფეთქებით, რომლითაც დაინგრა ჩვენი 25 თხრილი.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ოსმალეთის ელჩი ოსმალეთ-გერმანიის დამოკიდებულება.

„ფორმე ლეიტენგის" ფურცლებზე პროფ. ლუდვიგ შტეინმა მოათავსა თავისი საუბარი ოსმალეთის ელჩთან ვენაში ჰუსეინ-ხილმი ფაშასთან, რომელიც ერთ დროს მაკედონიის გენერალ ინსპეკტორათ იყო.

— ბერლინსა და კონსტანტინეპოლს შუა პირდაპირი გზის აღდგენა.

ამბობს ჰუსეინ ხილმი-ფაშა,—ჩვენს მოკავშირეს ისეთ წარმატებებს აძლევს [illegible]ალსაზრისით, რომ ჩემის აზრით ზედმეტია ამ ფაქტის განმეორება. მხოლოდ ერთი რამ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნო ამ მხრივ: ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ დაეხმარონ ერთმანეთს იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვსო.

პროფ. შტეინის შეკითხვაზე—ხედავს თუ არა ელჩი ლორდ კიტჩენერის მოგზაურობაში ახალ პოლიტიკურ პერსპექტივებს—ჰუსეინ ხილმი-ფაშამ შენიშნა.

„როგორიც უნდა იყოს მისი მოგზაურობის მიზანი, არავითარი გავლენა არ ექნება ოთხთა თანხმობის მდგომარეობაზე ბალკანეთში, მოკავშირეთა პოზიციების გაუმჯობესების მიზნით. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ბალკანეთში მდგომარეობა უფრო და უფრო ჩვენ სასარგებლოთ შეიცვლებაო. კერძოთ დარდანელის დათვალიერება კიტჩენერის მიერ ჩვენში არავითარ ზედმეტ ზრუნვას არ იწვევს, რადგანაც ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი ოპერაციების საბოლოო წარმატებაშიო. ამბობენ, ლორდ კიტჩენერი სპეციალისტია ეგვიპტის საკითხებშიო. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ინგლისის გენერალი ეგვიპტეში ნეგრების ჯარს კი არ შეხვდება, არამედ ოსმალეთის ძლევა მოსილი ჯარსაო.

ბალკანეთი.

ინგლის-საფრანგეთის ფრონტზე თოვლის სიმაღლე 2 მეტრამდეა, რომელიც ხელს უშლის ყოველგვარ საომარ მოქმედებას.

სერბიის გენერალური შტაბი და მთავრობა მიემგზავრება, შავ-მთიულეთში, საიდანაც როგორც იმედობენ, ხელახლად დაიწყებენ პარტიზანულ ომებს. გადახვეწილი სერბიელები დიდ განსაცდელში იმყოფებიან.

ათინა. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებმა თავიანთი პოზიციები ძლიერი სიმაგრეებით მიუვალი გახადესო.

სერბიის არმია, რომელიც შესდგება 250,000 კაცისაგან, ალბანეთის მიმართულებით უკან იხევს. დიდი ნაწილი ამ არმიისა მიემართება სკუტარის, დურაცოს და სანტი-კვარანტუს მიმართულებით. მეორე ნაწილი სერბიის ჯარისა გადადის ალბანეთში მდ. დიბრზე და ოხრიდზე.

ავსტრიელების წაწევა ჩერნოგორიისკენ გძელდება ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით გადავიდენ რამიტოლკაზე მათ დაიკავეს სამხრეთის ნაპირები ფიქრობენ, რომ საბერძნეთში უკმაყოფილება არ დაიბადოსო ბულგარლები მონასტირთან დაკავებულ ადგილებს გერმანელებს გადასცემენო.

——

[illegible] და დიდი თოვლი ბულგარლების შეტევით მოქმედებას პრიზრენისაკენ ძლიერ აფერხებს. სერბიელებმა უკან დახევის დროს ბარგი და ზარბაზნები გააფუჭეს. მაკედონიაში ბულგარლებმა სერბიელების უკანასკნელი პოზიციები დაიკავეს მდ. ცრნის მარცხენა ნაპირზე. პრილეპსა და ბიტოლის შუა მდებარე გზით სერბიელები ბიტოლისაკენ იხევენ ფრანგების ჯარმა, გადავიდა რა მდ. ცრნის მარცხენა ნაპირზე, ყველა ხიდი გაანადგურა ცრნისა და ვარდარის შესართავთან.

——

ათინაში განუწყვეტელი თათბირი გრძელდება. თათბირი გამართულია მეფესა, სკულუდისსა და საბერძნეთის სცენერლო შტაბის ოფიცრებს შორის.

ემზადებიან საარჩევნო კომპანიისათვის. გუნარისი საავტაციოთ მაკედონიაში გაემგზავრა. სკულუდისმა თავისი კანდიდატურა წამოუყენა სალონიკიდან. ვენიზელოსმა კატეგორიული უარი განაცხადა ყუთის დადგმაზე.

გუნარისის გაზეთი „ნეოა ასტი" ამტკიცებს, რომ დიპლომატიური წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ავსტრო-გერმანელები ამზადებენ ახალ ნოტას საბერძნეთისადმი და ემუქრებიან, ნეიტრალიტეტის დარღვევით, თუ იგი ოთხთა შეთანხმების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო.

ხისგან გაკეთებული ტყვიისმტყორცნელები.

უკანასკნელ დროს ჩვენი მზვერავებისა და მოიერიშე ნაწილების თვალების ახსნავათ რიგის ფრონტის ბევრ ადგილას გერმანელებმა ხისგან გაკეთებული ტყვიის მტყორცნელები დასდგეს. როგორც კი ჩვენი ნაწილები მიუახლოვდებიან გერმანელების ბანაკს, ტყვიისმტყორცნელები ასტეხენ ხმაურობას.

ზარალის თავიდან ასაცილებლათ ჩვენი ნაწილები იმ წამსვე მიწას ეკვრიდენ. ამ დროით კი სარგებლობდენ გერმანელები და არტილერიის ცეცხლისაგან გაფანტული ჯარი მოყავდათ წესრიგში. ჩვენმა მზვერავებმა ასეთი ტყვიისმტყორცნელები მრავლათ შენიშნეს დაზვერვის დროს ყველა მაღლობზე, სახლების სახურავებზე ფანჯრებსა და ხეებზე.

უკანასკნელი ცნობები.

„ბირჟ. ვედ". ათინიდან ატყობინებენ: ფლორინიდან მოსული ცნობებით, ბულგარეთის კერძო რაზმები მიემართენ საბერძნეთის ტერიტორიისკენ, რომ გზა გადაუჭრან საბერძნეთისკენ დახეულ სერბიის ჯარს.

——

საბერძნეთის მთავრობა წინადადებას იძლევა—გადაასახლონ გადმოხვეწილი სერბიელები ეგეის ზღვის საბერძნეთის კუნძულებზე.

——

„რუს. სლოვო"-ს ატყობინებენ: საბერძნეთის მთავრობამ კვლავ დაარწმუნა მოკავშირენი, რომ სერბიის ჯარი, რომელიც საბერძნეთის ტერიტორიაზე გადავიდა, იარაღს არ აყრისო.

——

„უტრო როსიი" იუწყება; ათინის წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ საბერძნეთი უთუოდ ომში ჩაერევაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რუს. ვედ". ათინიდან ატყობინებენ, რომ საბერძნეთის პრესამ ძლიერ შეიცვალა კილო და ამტკიცებს, რომ მოკავშირეთა მოთხოვნილება იმდენათ დიდია, რომ მისი დაკმაყოფილება უთუოდ საბერძნეთის ნეიტრალიტეტის დარღვევას გამოიწვევსო.

ქრონიკა

რუსეთი.

ეკატერინოსლავის სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე 190 ათასი მანეთის გადადების შესახებ გადახვეწილთა საჭიროებისთვის.

სტუდენტების გასაჭირი.

ოდესის უნივერსიტეტის რექტორმა გაზეთებში მოათავსა მოწოდება, რომლითაც მოუხმობს საზოგადოებას დახმარება აღმოუჩინონ სტუდენტებს და იხსნას ისინი სიცივისა და შიმშილისაგან. უკანასკნელი ანგარიშით, სულ 800 სტუდენტს არ გადაუხდია ლექციის მოსასმენი ფული, რაც შეადგენს მთელი სტუდენტების მეოთხედ ნაწილს.

——

ფინანსთა კომიტეტმა ერთხმათ საჭიროთ დაინახა მარკების ნაცვლათ ხურდა ფულის საჭიროებისათვის გამოუშვან უფრო სხვა ფორმის ქაღალდის ფული, რადგანაც მარკები ძლიერ მოუხერხებელი გამოდგა ხმარებაში. ამ კითხვის გარკვევის დროს აღმოჩნდა, რომ მარკები 26 მილ. მან. ყოფილა დამზადებული. ამ ჟამათ ხმარებაშია $13^1/_2$ მილ. მან. ახალ ქაღალდის ფული განზრახვა აქვთ გამოუშვან სულ 100 მილ. მანეთისა.

თფილისის საქალაქო არჩევნების გარშემო.

საკვირველია სომეხთ პლუტოკრატისა და ჩვენი „დასელების" ერთსულობა ამგვარ საკითხებში: პირველიცა და მეორენიც თითოეული საარჩევნო ბრძოლის დროს ყოველთვის ინტერნაციონალის—დროშას ამოეფარებიან ხოლმე. უცნაური ბლოკი თუ გნებავთ, ეს არის!

„კავკასკოე სლოვო"-ს, „ჰორიზონსა" და სხვა სომხურ გაზეთებს რომ ყურადაუგდოთ, სომხურ პრესაში არა ინტერნაციონალურს, ე. ი. ვიწრო ნაციონალურ, მიმართულებას სრულიად არ აქვს ადგილი და სომხები ამ მხრით კაცობრიობაში გამონაკლისს წარმოადგენენ!

მაგრამ, ეს რომ მართალი იყოს, განა „ჰორიზონი" ახალციხისა და ახალქალა-

ვახშამზე...

(ამბავი ამ დროის სოფლის ცხოვრებიდან).

— ბიჭო ვანო, რათ მარიდებ პირსა, რა გაწყენინე, შვილო? ჩემს ბიჭთან თანშეზრდილი ხარ, ისე უყვარდი ი მამა მკვდარს, რომ საკუთარ ძმადა გცნობდა... წამო ჩემთან ვახშმად, ღმერთს რაც მოუცია ყველაფერი მაქვს ვენაცვალე იმის მადლსა. იქნებ ჩემს გოგუცას ჰგონია-მამაჩემი ოჯახს ვერ გაუძღვება და მტერს გაახარებსო... ოღონდ ის ცოცხალი დამიბრუნდეს სახლში და... ოხ, ღმერთო, შენა ხარ ჩემი შემწე... წამო, შვილო!

ასეთის სიტყვებით მიმართა პეტრემ ომიდან დაბრუნებულს ხელ მოჭრილ ვანოს.

— რა ვქნა, პეტრე, ბარემ მეცა მცხვენიან ნათლიდედისა აქამდე რომ ვერ ვნახე, მაგრამ ე ოხერი ხელი მიშლის, პირლობა ჯერაც არ შეხორცებულა და მალი მალ მტეხს...

— არა უშავს რა, შვილო რახან სული მოგყვა, კიდევ მადლობა ღმერთს, კაცი თავის ბედის-წერას ვერ გაექცევა. მამა შენი მხნე კაცია, ისე გაცხოვრებს, რომ წარბსაც არ შეგიხრის. მალე ძმებიც წამოგეზდებიან და ისინიც არ დაიშურებენ შენთვის ერთს ლუკმა პურსა. ნეტავი კი ჩემი გოგუცა ცოცხალი დავინახო და თუ გინდა ორივე ხელი მოტეხილი ჰქონდეს!..

— ნუ გეშინიან, პეტრე; შენი ბიჭი ცოცხალია და უვნებელიც. როცა მე დამჭრეს, ჩემს გვერდით იდგა სამს ნაბიჯზე. ამხანაგებს აქეზებდა—აბა, ბიჭებო, ყოჩაღადაო... მერე ვეფხვივით წინ გადახტა და მტრისაკენ შურდულივით გაექანა.

— მერე, მერე, შვილო!

— მერე და ის მერე, რომ მშვიდობით გადარჩა!

— წამო, შვილო, წამო ჩვენსა. უამბე ეგ ყველაფერი ნათლიაშენს, დაამშვიდე, თორემ ლამის თავი მოიკლას ი უბედურმა და მეც თან გადმიტანოს. წამოდი, ნუღარ ვაგვიანებთ, აგერ ვახშმობამაც მოაწია...

ვანო შეყოყმანდა, მაგრამ უარი ვეღარ მოახერხა. ვანო პეტრეს ოჯახში იყო.

— ვანოს დანახვაზე პეტრეს ცოლს მაკინეს ცრემლები მოერია და ის იყო ხმა მაღალს ტირილს აპირებდა, მაგრამ პეტრემ შეუტია: „კარგია, დედაკაცო, ნუ მომკალი კაცი, ვანო შვილად მიმაჩნია, ვითომც ჩემი გოგუცა მომშვალია... სუფრა გაგვიშალე, ცოტას დავნაყრდეთო".

მაკინემ ცრემლები მოიწმინდა, მორჩილად მიტრიალდა კუთხეში მდგარ კიდობნისკენ და სუფრის გაშლას შეუდგა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა...

მაკინე ფუსფუსებდა.

ვანო—კი მისჩერებოდა ბუხრის თავზე მდგომ, საცოდავათ მბჟუტავ სანთელს და აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— როგორ გიკითხოთ, ნათლიდედა, დაარღვია სიჩუმე ისევ ვანომ, როდესაც მაკინემ სუფრა გაშალა და პეტრეს დოქით ღვინო გაუწოდა ხომ კარგადა ბრძანდებით"?

— გმადლობ, შვილო ვანო, მადლობელი ვარ... მე რა მიშავს, ჩემი გოგუცას ბედი მიკლავს გულს, თორემ მე უბედურს არა მიშავს რა!.. აქ მაკინემ კიდევ დააპირა ტირილი, მაგრამ პეტრემ კვლავ შეაჩერა იგი.

— გოგუცას დარდი ნუ გაქვსთ,—დაამშვიდა ვანომ მაკინე,—ც კარგად არის და ყოჩაღადაც იქცევა, მხოლოდ სახლის დარდი აქვს, სულ თქვენზე ჰფიქრობს, დარდიანობს"...

— კარგი, შვილო, კარგი... გააწყვეტინა სიტყვა პეტრემ,—მერე გვიამბე, ეხლა კი ახსენე ღმერთი, მისმა მადლმა ცოცხალი მოგვიყვანა და შენი თავი გვაჩვენა... გასტეხე პური.

აქ პეტრემ გვერდზედ მდგარი სღვინე მუხლზედ შემოიდგა, სამი ჰქა აავსო ღვინით, ერთი ვანოს მისთავაზა, ერთი მაკინეს, ერთი თითონ დაიჭირა მარცხენა ხელში, პირჯვარი გადიწერა და ჩამოილოცა.

— ღმერთო, შენს მოწყალებას ნუ მოაკლებ ჩემს ოჯახს, ღმერთო დაამშვიდე ქვეყანა, გაუმარჯვე ჩემს სტუმარს ვანოს, უდღეგრძელე დედ-მამა, ძმები, დები ყველა კეთილის მდომნი, გაცოცხლოთ, გაგიმარჯოთ"-ო და გამოსცალა ჰქა.

ვანომაც გაიმეორა ეს ქართველ გლეხობაში შემოღებული პირველი სადღეგრძელო.

— აბა, ვანო, როგორ იქცევი?.. გასტეხე პური; აი ცივად დედალი, ერბოკვერცხი ხომ ძალიან გიყვარდა შენ და გოგუცას... ისიამოვნე რამე.-გულით სთხოვდა პეტრე და მაგალითის მისაცემად თითონ პირველმა გასტეხა პური, ლუკმა დააწება მოხრაკულ კვერცხს და პირისაკენ გააქანა. ვანო კი უძრევლად იჯდა და პირს არაფერს აკარებდა. პეტრემ გადასწყვიტა, რომ ვანოს მადაზედ ღვინო, მოიყვანსო ამიტომ სამივე ჰქა აავსო, ერთად დააწყო საინზე, ვანოს მიმართა:

— ე ერთი „ტაქნით" ღმერთმა გაუმარჯოს შენს მოსვლას და ჩვენს დახვედრას, მეორე ტაქნით ვადღეგრძელებ შენს დედ-მამას, მესამეთი კი შენს საბედოს*); მართალია ცალი ხელი წაგართვა ღმერთმა, მაგრამ ბიჭად კარგი ხარ და ქალს არვინ დაგიჭერს...

— ეხ, პეტრე, ქალს ვინღა ოხერი მომათხოვებს... ვის რად უნდა ცალ-ხელა ან ეს სამ-სამი „სტაქანი" როგორ უნდა დავლიო! გადავეჩვიე კიდეც ღვინის სმას, აგერ წელიწადზე მეტია თვალით არ დამინახავს ღვინო... დავითვრები ღმერთმანი.

— შენი ჭირიმე, ვანო, უნდა მოიმხიარულო, ვითომც ჩემი გოგუცა დაბრუნებულია სახლში, უნდა ვიქეიფოთ... აქ მაკინე კვლავ აცრემლიანდა, პეტრემ შენიშნა ეს და გაჯავრებულმა შეუტია: „რა მოგივიდა, შე ოჯახქორო!... ცოცხალ კაცსა ტირი და ღმერთსა სცოდავ. კარგი, გაათავე, დასწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენის დღე.. ერთი „სტაქანი" შენთვის მოიტანე, თორემ ჩვენთან ვერ ივლი სმაში"...

მაკინე მორჩილად ადგა სუფრიდან, ჰქა მოიტანა, დაისხა ღვინო და წინ დაიდგა. პეტრემ კი სამი ჰქა გამოსცალა, შეავსო ისევ, ვანოს გადასცა და თან დააყოლა: „ვანო, გენაცვა, ერთი ე „სტაქნები" გამოსცალე და თუ გინდა მერე უამბე ყველაფერი ამ საცოდავს ნათლია შენს...

ვანომ პატარა უარის შემდეგ ჰქები ჩამოართვა, სადღეგრძელოები გაიმეორა, მადლობა გადაუხადა პეტრეს და გადაჰკრა.

— შვილო, ვანო, დედაშვილობასა, მართალი გვითხარი, გული ცუდს მითქვამს, ი ბიჭის თავს რო არა იყოს რა ამდენს ხანს ისე არ დადგებოდა და ქაღალდს**) გამოგზავნიდა. განა არ იცის ი დედა-მკვდარმა, რომ იმისი დარდით ვიხოცებით დედ-მამა... თუ დედიშენის ძუძუ გწამს მართალი გვითხარი—შენის თვალით ხედავდი?.. როცა აქეთ მოდიოდი მაშინაც ნახე? აღარ ისვენებდა მაკინე.

— ვნახე, მამა, როგორ არ ვნახე.

ყოჩაღია და ყოჩაღადაც ომობს,—უპასუხა ვანომ.

პეტრემ ხელმეორედ შეავსო ჰქები.

— ე სამი „სტაქნით" ღმერთმა ადღეგრძელოს ჩემი გოგუცა. შეეწიოს სამება ერთარსება, რომ მისმა მადლმა ცოცხალი მაჩვენოს მისი თავი. ალავერდი შენთან, ვანო... პეტრემ ზედი-ზედ გადაჰკრა სამივე ჰქა ღვინო, გაავსო ისევ და გადასცა ვანოს. ვანომ უარი უთხრა, მთვრალი ვარ, აღარ შემიძლიანო, მაგრამ პეტრე აუხირდა—როგორ შეიძლება, გოგუცა შენთან თანაშეზრდილი ამხანაგია, ჭირში და ლხინში ძმებივით იყავით და იმის სადღეგრძელო არ უნდა დალიო... ვანოს უარი აღარ ეთქმოდა, ჩამოართვა საინი, ადღეგრძელა გოგუცა და გამოსცალა სამივე ჰქა.. ვანოს მართლაც მოეკიდა ღვინო, თვალები აუბრწყინდა და ლაპარაკს მოუხშირა.

— იმ ღამეს,—დაიწყო ვანომ,—ჩვენ თხრილებში ვისხედით. თბილი და მშვიდი ღამე იყო. მე და გოგუცა მხართემოზედ წამოწოლილნი ვმუსაიფობდით. თოფების მაგიერ რომ სახრეები გვჭეროდა ხელში, ვიფიქრებდით ღამე ხარში ვართ. მოვიგონეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოფლები, ჩვენებურები, ჩვენი სახნავ-სათესი, ვენახები, საძოვრები, სათიბები... გოგუცა ქალაქებში ნაყოფია და ყველაფერი გაგებული აქვს.—„ეხლა, მითხრა გოგუცამ, მთელი ქვეყანა ომობს, ყველა

---

*) საცოლეს.

**) წერილს.

ქის მაზრების მაჰმადიან ქართველებს ოსმალოებად გამოაცხადებდა და „ნარი" „კავკაზსკოე სლოვოში" ქართველთა ერთს დიდ ნაწილს „პოგრომშიკობას" დასწამებდა?

ნეტაი რა აქვს საერთო ინტერნაციონალთან, საერთაშორისო მეგობრობასთან, სხვათადმი ასეთ უპატივცემულობას?!

ეს რამდენიმე ათი წელიწადია, სომეხთ შოვინისტები რომ გაიძახიან, ქართველი — თავადაზნაურობა სომხების აწიოკებას აპირობსო.

რას უნდა მივაწეროთ ეს, მეტი რომ არ იყოს, ყოვლად შეუწყნარებელი საქციელი? ინიციატივა ამ ცილისწამებაში „დასელებს" ეკუთნისთ, სომხებმა კი მზამზარეული ბრალდება ხელზე დაიხვიეს, თუმცა, როგორც ისტორია ამოწმებს, ქართველი თავადაზნაურობა ყოველთვის რაინდული და კეთილშობილი ყოფილა და, ცხადია, მისი ჩამომავლობა „პოგრომშჩიკებად" ვერ გადაგვარდებოდა. დიახ, ეს საზიზღარი პირი—პარტიული ფანატიზმის ნაყოფია.

ეჰ! ბევრი პირი მოუვლინა საქართველოს პარტიულმა ფანატიზმმა და კვლავაც მოუვლენს!

აი თუნდა დღეს ჩვენი „ინტერნაციონალისტები" ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ქართველი ამომრჩევლები შუა გაყონ, გათიშონ და დააუძლურონ, რომ ამით სომხის ბურჟუაზიას გამარჯვება გაუადვილონ!

ამბობენ: საარჩევნო ბრძოლა არა ეროვნულისა, არამედ სოციალური პლატფორმის გარშემო უნდა სწარმოებდესო, და, ვინც ამ აზრს არ იზიარებს, მემარჯვენედ და შავრაზმელად ნათლავენ!

მაგრამ მოპირდაპირის გინება—ძველი, დრომოჭმული ტაკტიკაა, რომელიც ხმლად და ფარად აღარ გამოდგება, რადგან დღეს იმდენად მომწიფებულია მოქალაქობრივობა, რომ ცარიელ სიტყვას აღარა სჯერდებიან და საბუთებს თხოულობენ.

მართლაც! ჩვენ რომ ჩვენი გათელილი ეროვნული უფლების აღდგენა გვსურდეს, ნუ თუ იმიტომა ვართ მემარჯვენენი და შავრაზმელები? ეს სადაური ლოღიკა და სამართალია?!

სამწუხაროდ, ამ ომმა მხოლოდ ჩვენს „ინტერნაციონალისტებს" არ ასწავლა ჭკუა. რუსეთსა, გერმანიასა, ინგლისსა და საფრანგეთში, სადაც მოსალოდნელია უდიდეს სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტა, სოციალისტებმა უკვე შეიგნეს და აღიარეს, რომ კლასთა შორის საერთო, შემაკავშირებელი, ეროვნული უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერია, ვიდრე კლასიური, დასური, და საერთო ინტერესების დასაცავად ყველა კლასი და დასი შეერთდა.

მხოლოდ ქართველი სოციალისტები ეინიანობენ ამ საერთო განსაცდელის დროს და ძველებურადვე კლასთა ბრძოლის დროშას აფრიალებენ!

არც არაფერი დაივიწყეს და არც არაფერი ისწავლეს!

„თანამედროვე აზრიც", „მეგობარიცა" და „ზვირთიც" თფილისის საარჩევნო ბრძოლას კლასთა ბრძოლას უდებენ საფუძვლად. დემოკრატიას არა აქვს-რა საერთო ბურჟუაზიასთან და ცალკე უნდა დარაზმდესო, ამბობენ.

მეორე მხრით, თვით „ზვირთიც" კი აღიარებს, სომხის მუშები სომხის ბურჟუაზიის ყურმოჭრილი მონა-მორჩილები არიანო. მაგრამ, თუ ასეა უეჭველია კიდევ უფრო უიმედო უნდა იყვნენ სომხის წვრილი ვაჭრები! აქედან ცხადია, რომ სომხები დიდი ვაჭრებიდან დაწყებული უბრალო მუშებამდის გამოდიან, როგორც მთლიანი ეროვნული ორგანიზმი. და ამავე დროს ქართველებს ეუბნებიან: გაითიშეთ და დანაწილდით დასებად, ეროვნული ერთობა პირია და ქართველ დემოკრატიას თავი მოეჭრება, რომ გაბედოს და ქართველ ბურჟუაზიას შეუერთდესო!

და რა საკვირველია, სომხის ბურჟუაზია რომ ინტერნაციონალის ქურქს ისხამს და ამგვარს, მისთვის ხელსაყრელ ქადაგებას რომ გულდრუკს უკმევს და ტაშს უკრავს!

ეჰ! „მეგობარ"—„ზვირთ"—„აზრელებო"! თქვენ რომ მაგ გზით სოფელს ააშენებთ, იქ მე ნუ დამასახლებთ!

ჩვენი ფიქრით კი ქართველი ამომრჩეველნი, მუშები, ვაჭრები და მემამულენი, ერთად უნდა გამოვიდნენ, როგორც ერთი მთლიანი ეროვნული დასი, მით უფრო, რომ ეს დასი თავის შედგენილობითა და მიმართულებით დემოკრატიული იქნება, რადგანაც, სამწუხაროდ, ქართველ ვაჭართა და მემამულეთა შორის მდიდარი ცოტა-ღა გვეგულება და ქართველ ამრჩეველთა უმეტესობა—წვრილი ვაჭრებისაგან შესდგება.

ვიმეორებ: ქართველნი ამომრჩეველნი უნდა გამოვიდნენ, როგორც ქართული ეროვნული დემოკრატია, რომელმაც უნდა შემოკრიბოს თავის გარშემო მთელი ქართველობა მემამულეებიდან დაწყებული მუშებამდის. ამას მოითხოვს, როგორც ქართულისა, აგრეთვე ყველა სხვა ეროვნული დემოკრატიის ინტერესები.

ისარი.

ერები იბრძვიან, რაღაცა უნდათ წაართვან ერთმანეთსაო. ზოგი პატარა ქვეყნები დიდი სახელმწიფოების ყმები არიან და ეხლა ცდილობენ თავი დაიხსნანო, ეს სერბიაო, ეს ბელგიაო, ჩერნოგორია-პოლონეთიო. შარშან წინ რომ ომები იყო ისიც იმისთვის, რომ პატარა ერები თავს იხსნიდენ სხვის მონობისგანაო. ჩვენ კი ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანა საქართველოა, მაგრამ... ეჰ—ო" აქ ღრმად ამოიოხრა და მწარეთ დაამატა: „მეც მიყვარს სამშობლო, მისთვის მიცემს გული, სამშობლოს ვეთაყვანებიო, მაგრამ ეხლა დავანებოთ თავი ამაზედ ლაპარაკს, ისევ სჯობს ჩვენი სოფელი მოვიგონოთო და მოიგონა ის ღამე მე და ის ღამეხარში რო ვიყოთ გურიის ქედზედ და ეშმაკები რომ გამოგვეცხადნენ; ის ვერნები როგორ მოგვეპარნენო,—სთქვა თუ არა ეს გიგუცამ შევხედეთ და თვალ წინ აგვეტრუსენ გერმანელები. „დასწყევლოს ღმერთმა, ეშმაკები სწორედ ესენი ყოფილანო",—სთქვა ეს თუ არა გიგუცა, ფეხზე მარდათ წამოხტა და თოფი მოიმარჯვა „შტიკზედ" მისასვლელად. დავერიეთ ერთმანეთს ჩვენები და გერმანელები... ისინი ცოტანი აღმოჩნდნენ, მაგრა შემოგვიტიეს, მაგრამ მაინც დავამარცხეთ და ზოგი ამოვხოცეთ, ზოგნიც ტყვედ წამოვიყვანეთ...

— მოიცა, კაცო, ყელი გამიშრა, თითო დავლიოთ და მერე სთქვი,—გააწყვეტინა სიტყვა შეზარხოშებულმა პეტრემ. მაკინე სულგანაბული უსმენდა ვანოს ნაამბობს და პეტრეს ჩარევა ლაპარაკში არ ესიამოვნა, მაგრამ არა უთხრა რა, მხოლოდ სახეზედ შეეტყო უკმაყოფილება პეტრემ კი ადღეგრძელა ყველა „ქრისტიანი" მეომრები, გადაჰკრა, დაასხა ღვინო და გადასცა ვანოს. ვანომ ჩამოართვა ჭიქა და სუფრაზედ თავის წინ დასდვა.

— მერე, როცა დავმშვიდდით, განაგრძო ლაპარაკი ვანომ,—და ჩვენი ჯარი ისევ დალაგდა დასასვენებლათ მე და გიგუცა ისევ გვერდის-გვერდ წამოვწექით.—„მართალია, რომ ყოჩაღები არიან გერმანელებიო, სთქვა გიგუცამ, მაგათ ისე უყვართ თავიანთი სამშობლო, რომ სიცოცხლეს არა ნაღვლობენ და მსხვერპლად ეწირებიანო. უწინ ჩვენი მამა-პაპანიც"თურმე ეგრე გმირულად იხოცებოდენ და თავიანთ დედულ-მამულს არავის აკუთრებდნენო... მიამბო თამარ მეფის დრო, მეფე ერეკლეს ომები, გიორგი სააკაძის ამბები და სხვა. ისე მაგებინებდა ყველაფერს, ისე მიხელდა თვალებს, როგორც კარგი მასწავლებელი... ღმერთმა შეიწყალოს საწყალი გიგუცა... ძაან ბიჭი კი იყო!

ხმის კანკალით დაამთავრა ვანომ და თავისი სიტყვებისა თითონვე შეეშინდა.

— აკი არ წამომცდა, ე ვერანა! გაიფიქრა ვანომ და სიტყვის ჩაფუჩეჩება უნდოდა, მაგრამ გვიანღა იყო!..

მაკინე გულწასული დაეცა ტახტზე, პეტრე კი ღრიალითა და თავში ცემით გარედ გამოვარდა...

მალე მთელი სოფელი შეიკრიბა პეტრეს ეზოში. ყველანი ცრემლებით იღვრებოდენ და მოსთქვამდენ თავის უბედურებას.

ცალ-ხელა ვანოც აჩრდილივით დაფარფატებდა მათ შორის და ცრემლ მორეული ხმით ლუღლუღებდა: „რა მსჯიდა, რისთვინ გავამწარე ეს უბედურებიო".

ურბნელი ვასო.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნატორმა დღეშით შუამდგომლობა აღძრა სამხედრო მიმოსვლის უფროსთან, რომ მიეცეს ერთი ვაგონი ეენა-კიევს რუსეთ-ბელგიის მეტალორგიულ საზოგადოებას რკინის რელსების გადასატანათ დ. ჭიათურაში ვლ. კუჩავას სახელზე.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. ოზურგეთის თვით მართველობას, გახსნას ქ. ოზურგეთში „კვირიკეს" უბანში უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო.

✦ კვირას, 29 ნოემბერს, დილის 11 საათზე ბალახვანის „შოთა რუსთაველის" სახელობის სამკითხველოს დარბაზში მოხდება ხსენებული სამკითხველოს წევრთა საზოგადოების კრება.

✦ კვირას, 29 ნოემბერს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება ქუთაისის გუბერნიაში არსებულ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებების წარმომადგენელთა კრება.

✦ დღეს, 26 ნოემბერს, სახელმწიფო მიწათა და ქონებათა სამმართველოს დარბაზში მოხდება ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტის კრება.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ქუთ. გუბერნატორს დასამტკიცებლათ წარუდგინა სარევიზიო კომისიის წევრები: ს. გ. ყიფიანი, გ. მ. ცაგარეიშვილი, გ. ი. ბაღრიძე, ლ. ა. ჩიმაკაძე და მ. ფ. ზვიადაძე.

✦ 23 ნოემბერს ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაადგინა: მოიწვიოს ქალაქის მეორე აფთიაქისთვის პროვიზორის ერთი თანაშემწე ან აფთიაქის ორი მოწაფე.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სასამართლოდან მიიღო რამდენიმე „აღმასრულებელი ფურცელი" სადორიის აგარაკზე მდებარე საქალაქო ადგილებზე დასახლებული მცხოვრებლების შესახებ. საჭიროა ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ხალხის უმწეო მდგომარეობას გადასდოს ომის გათავებამდი გადასახადის შეკრება.

✦ დღეს დ. ჭიათურაში ბ-ნ ვასო აბაშიძის რეჟისორობით, ახალგაზდა მსახიობ აპტალიდის სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა.

✦ დ. ჭიათურაში ჟანდარმების განკარგულებით გაჩხრიკეს და დაატუსაღეს ინჟინერი პაპავა.

✦ ს. ბუგეულის (რაჭის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „რაჭა".

ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს ს. ქვემო ბარგების (სოხუმის ოლქის) მცხოვრებლებმა.

✦ **კოოპერატიული ფურნე.** როგორც გუშინ გვქონდა აღნიშნული კოოპერატიულმა ფურნემ უკვე დაიწყო მოქმედება. პური კარგი ღირსებისა ცხვება და იყიდება თითოეული ოყა არსებულ ნიხრზე ერთ კაპიკ ნაკლებათ. კოოპერატიულმა ფურნემ საქმის დაწყებისათანავე თავისი გავლენა უკვე მოახდინა: მეფურნეებმა პურის ფასი დაუკლეს.

✦ ლეჩხუმი. 21 ნოემბერს, ღამით ს. ორბელში (ლეჩხუმის მაზრა) გატეხეს საამხანაგო (კოოპერატიული) დუქანი. ბოროტ-გამზრახველი შეისწრო ადგილობრივმა მედუქნემ მაქსიმე გოგებაშვილმა, რომელმაც ბოროტ-გამზრახველს ესროლა თოფი და მოკლა. მკვდარი აღმოჩნდა მახლობელ სოფლის მცხოვრები ხუსილა მახარობლიძე.

✦ **ალ. ყალაბეგიშვილის ბენეფისი** დღეს ალ. ყალაბეგიშვილის საბენეფისოთ ქართულ თეატრში „ქართული დრამის" მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება შანშიაშვილის ახალი ისტორიული პიესა გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან „უგვირგვინო მეფენი". სააკაძის როლს შეასრულებს თვით მებენეფისე.

ქუთაისის საზოგადოება კარგათ იცნობს ალ. ყალაბეგიშვილს, რომელსაც არა ერთხელ მოუყვანია ეს საზოგადოება აღტაცებაში თავისი ნიჭიერი თამაშით.

იმედია ქუთაისის საზოგადოება უყურადღებოთ არ დასტოვებს მობენეფისეს და თავის დასწრებით ხელს შეუწყობს ნიჭიერ მსახიობს რომ უფრო მეტი ენერგიით იმოღვაწოს სასცენო ასპარეზზე.

წერილი ციმბირიდან.

დიმიტრი კვარაცხელიას გარდაცვალება 1915 წ.

დრო დამძიმდა, ისედაც გამწარებული სიცოცხლე ჩვენ გადმოსახლებულებისათვის უკიდურესობამდეც მივიდა და რა მოგველის ვინ იცის, სამწუხაროთ მთელი კაცობრიობისათვის არსებულმა ომმა, ისეც საკმაოდ დასუსტებულნი, უკიდურესათ დაგვასუსტა არსებობისათვის საბრძოლველათ, რამაც დაასუსტა ჩვენში იმედი ჩვენ შვილთა და პირისუფალთა გადახვევ-მისალმებისა. გახშირდა აუტანელი ცხოვრების პირობების უკიდურესად გამძიმების გამო გადმოსახლებულთა სიკვდილიც. რიცხვთა შორის თუთხმეტ სეკტემბერს ამა წლის ტანჯვის შემდეგ, აქ გაათავისუფლეს ციხიდან პოლიტიკური დიმიტრი დათასძე კვარაცხელია; რადგან სეკტემბრიდან აქ უკვე ზამთარია უტანისამოსო და უფულო დიმიტრი სწრაფლ შეიპყრო აქაურმა მწარე ყინვების სუსხმა და სასტიკი ავათმყოფი შეიქმნა; დაბა ზიმაში მცხოვრებმა ქართველებმა, მიუხედავათ იმისა, რომ თვითაც საკმაო ხელმოკლეობას განიცდიან, არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ავათმყოფის დიმიტრის მოვლისთვის, მაგრამ დიმიტრის მეტი ექიმობა ესაჭიროებოდა, იგი უკანასკნელად მოვათავსეთ საავათმყოფოში, რომელიც აქედან 4 ვერსის მანძილზეა დაშორებული, სადაც დიმიტრი ტიფით ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა 15 ოკტომბერს.

განსვენებულის დაკარგვას აქ მცხოვრებნი კავკასიელნი ქართველნი, სომეხნი და ებრაელნი მწუხარებით მიეგებენ.

განსვენებულის დიმიტრის ცხედარს ამკობდა აქაური ქართველების მიერ მიძღვნილი გვირგვინი ზედ წარწერით: ციმბირში მყოფ ქართველთა ჯგუფისაგან—ძვირფას ძმას და ამხანაგს—კვარაცხელიას, განსვენებული დიმიტრი ასაფლავია დაბა ზიმის სადგურის მახლობლად აქაური რკინის გზის მოსამსახურეთა სასაფლაოზე, რომლის საფლავზეც აღმართულია უზარმაზარი **ხის ჯვარი წარწერით:**

„უკმაყოფილოს კაცთა ცხოვრებით ხანგრძლივი ტანჯვა მეც წილადა მხვდა, ათი წლის ხუნდებ—მორკილ ჩხრიალით მტანჯველთ სურვილი ჩემზედაც ახდა; მაგრამ იმედი მე თან მიმყვება დარწმუნებულის განახლებისა, კაცთ მოყვარებით ძმობა-ერთობით დამონებულთა ამაღლებისა; ისიც კი მჯერა იმ დროს მოძმენი მეც გამიხსენებს ალერსით ნდობით, ეხლა კი, ძმებო, ჩამდით საფლავში დროა რომ მითხრათ ყველამ მშვიდობით".

მით ვატყობინებ, რა განსვენებულის დიმიტრის გარდაცვალებას მის პირისუფალთ და მოძმე—ამხანაგთ და უერთებ რა უკანასკნელთა მწუხარებას განსვენებულის დიმიტრის დაკარგვაზე ჩემს მგლოვა-მწუხარებას, საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ განსვენებულის დიმიტრის პირისუფალნი, რომელნიც თითქმის მდიდართა რიცხვში ირიცხებიან, თუ არ დაუკარგვენ და გამოუგზავნიან ლუტუ გერგედავას 15 მანეთს, რომელიც მის ავადმყოფობაზე დაიხარჯა. ძლიერ კარგს ინებებენ, რადგანაც უკანასკნელიც გადმოსახლებულია და ღარიბთაგანიც.

თომა ჩიქვილაძე.

დაბა ზიმა ბალაგანსკის მაზრა ირკუტსკის გუბერნია.

გერმანიის პრესა

ზავის შესახებ.

სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფორ-ვერტი" ერთ-ერთ წერილში, რომელიც მიმართულია რეიხსტაგისადმი, აცხადებს, რომ მხოლოდ მდგომარე მომენტში შეუძლია სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აღძრას საკითხი მშვიდობიანობის შესახებ. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ რეიხსტაგის ტრიბუნიდან. ეს ერთად ერთი ადგილია სიტყვის თავისუფლებისა, სადაც შეეძლებათ მიმართონ საიმპერიო კანცლერს შეკითხვებით, თუ რა გზით შეიძლება მშვიდობიანობის მიღწევა. აგრეთვე დიუყონებლივ შეიტყონ მთავრობის გაზრახვა. ამასთანავე უნდა ზომები იქნეს მიღებული ომის აუცილებლათ მალე დასრულებისათვის.

სოციალ-დემოკრატიის ორგანო, არ ფარავს იმასაც რომ ზოგიერთი პარტიის ზეპვლითი ორგანოები უარყოფენ საპარლამენტო საქმიანობის საკითხებს „ფორ-ვერტი" არ ერიდება და შესაძლებლათ სცნობს, რომ საიმპერიო კანცლერს ნამდვილათ აქვს წარმოდგენილი თავდაცვითი ომის წარმოება, როგორც გრაფ რევენტლოვს და ყველა ომის მომხრე სახელმწიფოში გავლენიან [illegible] „ფორვერტი" იძულებით მოი[illegible]რის შესაფერ პასუხს, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება საბოლოოთ გაფანტვა შავი ღრუბლებისა, რომელშიაც გახვეულია, სოციალ-დემოკრატიული პარტია. ეს მოქმედება მით უმეტეს მნიშვნელოვანია ეხლანდელ მომენტში, როცა მთავრობას ომის გასაგრძობათ ესაჭიროება მილიარდებით სესხი, გერმანიის სახალხო წრეებზე გავლენიანი ორგანო, „ლოკალანცეგერი" საჭიროთ სთვლის აუცილებლათ ზავის ჩამოგდებას.

სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტი „ფორ-ვერტში" აცხადებს, რომ ლიბკნეხტს კვლავ განზრახვა აქვს, რეიხსტაგის ტრიბუნაზე გამოვიდეს დამოუკიდებელი განცხადებებით, რომლის შესახებაც სოციალ-დემოკრატიული პარტია არავითარ პასუხს არ აგებს.

„რ. ს."

სიძვირის გამო.

მოსკოველი გაზეთის „Утро Россiи"-ს უკანასკნელ ნუმერში ამოვიკითხე, რომ რუსეთში მღვდლებმაც ბანი მისცეს ამ აუტანელ სიძვირესო და სხვა და სხვა გვარი მღვდელთ მოქმედების შესრულებაში ერთი ორად მეტ ფასს აძლევინებენ გლეხებსო. ჩვენი ქართველი, მღვდლების შესახებ თავიდგანვე მეტათ სამძიმო იყო ჩვენი გლეხობისათვის და აბა ეხლა რა სინიდისმა უნდა მისცეს მათ, რომ რუსის მღვდლებს მიბაძონ. მადლობა ღმერთს ჯერ-ჯერობით ჩვენი მღვდლები, ომიანობის წყალობით, გამოწვეულ სიძვირის სიმძიმეს თუ უმსუბუქებენ გლეხებს თორემ არ უმძიმებენ. სამწუხაროთ მხოლოდ ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენი ექიმების შესახებ. ომიანობის პირველ თვეებში, როდესაც პროვინციიდან ახალგაზდა ექიმები ომში გაიწვიეს, აქა იქა დარჩენილმა ექიმებმა ამ სამწუხარო გარემოებით ისარგებლეს და არამც თუ მარტო თავიანთი ვიზიტები ავათმყოფების სანახავათ გააძვირეს ბინაზე მიყვანილ ავათმყოფებსაც გასასინჯათ ერთი ორად მეტი ფასის ხდევნება დაუწყეს, მაგალითად, უწინ თუ ათ შაურს ჯერდებოდენ ავადმყოფს გასაშინჯათ ან რეცეპტის დასაწერათ ეხლა უმანათოდ თვალებშიდაც არ შემოგხედავენ., მანეთი წინ და წინვე ექიმის მსახურს უნდა ჩააბაროთ და მერე გაბედვით ღირსი ადგილი დაიჭიროთ მისაღებ ოთახის დერეფანში. ვფიქრობდით, რომ უმაღლესი სწავლა განათლებით აღჭურვილი ადამიანები ამას არ იკადრებდენ, მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდით. ექიმებისაგან ზედმეტი ფასის ალებას შეიძლება რაიმე გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს? სრულიადაც არა, შიმშილობისა და სხვა და სხვა სენის გამრავლების გამო ავადმყოფობის რიცხვმა ერთი ორად იმატა და ექიმების რიცხვმა კი, ომში გაწვევის გამო, შესამჩნევათ იკლო, უწინ თუ საზოგადო რიცხვით საუკეთესო და გამოცდილ ექიმთან ოცი ავადმყოფი მიდიოდა, დღეს ორჯერ ამდენი სულ უცნობ და გამოუცდელ ექიმთან მიდის, მაშასადამე, დღეს რომ ექიმმა ავათმყოფის გასაშინჯათ ძველებურათ თითოზე ათათი შაური აილოს, მისი შემოსავალი მაინც ერთი ორად მეტი იქნება და ჩვენ ექიმებს თუ ხალხი ეცოდებათ რა საბუთით და მოსაზრებით გაამანათიანეს ათი შაური?! უფრო სამწუხარო და სავალალო ის გარემოება არის, რომ პროვინციელ ექიმებს, რომლებსაც თავიანთ პრაკტიკაში ბევრი დაბრკოლება ხვდებათ; მოგზაურობის დროს ცუდი გზები, უამინდობა, ცხენზე ჯდომა და. სხვა ქუთათურმა ზოგიერთმა ექიმმაც მიბაძა საინტერესოა ვიცოდეთ, იქნება ასე სინამდვილე ვიქნებით ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში ექიმების მხრით. **მ. ბუაჩიძე.**

ხმები ზავის შესახებ.

ზავის შესახებ გაზეთი „დაილი ნევსი" სწერს ზავის ჩამოგდება არც იმდენათ შეუძლებელია. თვით გერმანიის სურვილია მშვიდობიანობის დამყარება. მაგრამ ამავე დროს სულ სხვანაირია ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. ჩვენ ვერ დავრწმუნდებით, რომ გერმანია მზათ იყოს მიიღოს ეხლანდელ მომენტში ყველა ის პირობა რომელიც რამოდენიმეჯერ შეიმუშავა პრემიერ ასკვიტმა, საერთოდ შეიძლება ითქვას პირობების მინიმუმი, რაც უკეთეს პირობებში ჩააყენებს ინგლისის ერს და რომლის იქითაც წასვლა აღარ შეიძლებოდეს. ომის განგრძობისათვის, გერმანიის მიერ მიღებული ზომები, რომლითაც ის ეხლა ომს აწარმოებს, უფრო გაადიდებს ჩვენს მოთხოვნილებებს ვიდრე შეამცირებს, და უფრო გააძლიერებს, ვიდრე შეასუსტებს, ჩვენს გადა-

წყვეტილებს, მიიყვანოს იქამდის რომ გერმანიამ მიიღოს ჩვენი პირობები. შურის ძიება არ არის და არც უნდა ჰყოს მოტივი, რომელიც ამ მოთხოვნილებებს უკარნახებს მოკავშირეებს. მაგრამ სიმართლე უნდა დაკმაყოფილებულ იქნას, და მოთხოვნილება სამართლიანობისა. გერმანელებთა საქციელის მიხედვით რაც მათ ჩაიდინეს 16 თვის განმავლობაში არც ისე ადვილი დასაკმაყოფილებელია. ეხლა აღარ არის საკითხი მარტოდ ბელგიის კომპენსაციის შესახებ, რადგან სერბია და პოლონეთი მოითხოვენ სამართლიანობას, იმ საშინელ აწიოკების გამო, რაც მათ განიცადეს. არ არის აგრეთვე აღძრული უბრალო საკითხი საფრანგეთის გარანტიის შესახებ, რომ მტრის მიერ განადგურებული და დიდათ დაზარალებული მხარე მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას. ეხლა აღარ შეიძლება პრუსიაში ომის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა. აგრეთვე შეუწყნარებელია ოსმალების ევროპასა და აზიაში თარეში. საბოლოოთ უნდა მოისპოს ოსმალების კულტურულ ქვეყნებზე ბატონობა.

დასასრულ, შეუწყნარებელია ავსტრიის მუქარა, რომელიც ხელს უშლის ევროპის მშვიდობიანობას. ავსტრიაში მყოფ სხვა და სხვა პატარა ერების უფლებები აღდგენილ უნდა იქნეს.

რაც შეეხება იმას, თუ ჩვენი ქვეყანა როდის აღიარებს მშვიდობიანობას, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ზავი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა თვით გერმანია დარწმუნდება თავის ბოროტ-მოქმედებაში.

მაშასადამე, ზავის ჩამოგდება ჯერჯერობით ასეთ საშინელ მომენტში მოუხერხებელია, მაგრამ აუცილებლათ ზავი მოხდება უფრო ადრე, ვიდრე ამას მოელიან. „რ. ს“.

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს ,წაკითხული

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 231)

რომელი მოვლენაც უნდა ავიღოთ შესასწავლად ძველი ქართული ლიტერატურის მიხედვით, ყოველთვის დაბრკოლებათა ზღუდეს ვაწყდებით, რის გამოც კვლევა გვიძნელდება. საქმე ის არის, რომ ქართულ ლიტერატურაში უძველეს ხანიდან დღემდე ვერ ვხედავთ შეუწყვეტელს ძაფს, ვერ ვხედავთ სხვა და სხვა ფორმების ჩამოყალიბებას, სხვა და სხვაობაა გამეფებული, როგორც იქ, ისე ტრადიციებში, იდეების შემუშავებაში და სხვა. პროფ. მარრის სიტყვით მთელს მე-XIV—XV საუკ. განმავლობაში შესწყდა ,ქართულ ქრისტიანულ პერიოდის განვითარება. სახელმწიფოებრივ კატასტროფასთან ერთად, რაიც მონღოლთა შემოსევას ფეხ და ფეხ მოჰყვა, სწყდება სულიერი განვითარებაც, ხსენებული საუკუნე გამოდის როგორც მოელვარე საზღვარი ძველ და ახალ საქართველოს შუა, რომელმაც ნანგრევებიდან გვიან, მაგრამ მაინც იწყო ამოშუქება. ამიტომაც მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურიდან რაც გადარჩა, უნდა ჩაითვალოს სასწაულით გადარჩენილ უდიდეს ლიტერატურის ნაშთად, რომელთა დამარხვა ვერ შესძლო თვით ბარბაროსულ შემოსევის ნანგრევებმაც კი. საშუალო საუკუნეთა მწერლების ნაწარმოებნი უკვალოდ გაჰქრენ. მათი არსებობა ჩვენ ვიცით მხოლოდ მათი სახელების აღნიშვნით, რაიც შემდეგმა პოეტებმა დაგვიტოვეს. ოთხი კლასიურ მწერლიდან, რომელთა სახელები რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსნის“ უკანსიტყვაობაში აღნიშნა ლექსით, ორი ავტორი სრულიად დაკარგულია ჩვენთვის „აბდულ მესია“ და სარგის თმოგველს „დილარგეთიანი“.

თვით მე-XII საუკ. გადარჩენილი ძეგლიც ახალ სიძნელის ზღუდეს გვიჩენენ ნათ შესწავლის დროს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა განვსაზღვროთ რა გავლენას ახდენდა სპარსული რომანტიზმი, რაიც ამ დროს სრულს ყვავილებში იყო. ამ გავლენის გარშემო, როგორც ვიცით, დღესაც ბრძოლა ჯერაც არ დამცხრალა ნაციონალისტ მკვლევართა და მეცნიერულად მოაზროვნე კრიტიკოსთა შორის. მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე სარწმუნოდ ვიცით, რომ ამ საუკუნის ერთი კლასიკური რომანი „ვისრამიანი“ პირდაპირ სპარსულიდან არის ნათარგმნი; ქართულ რომანტიზმის სხვა ძეგლთა შორის შეგვიძლია მიუთითოთ მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანზე“. ეს ნაწარმოები შედგენილია განსაკუთრებით სპარსულ ლიტერატურის ზედგავლენით.

ჩვენ გვერდს ვუხვევთ ფრიად საკამათო საკითხს „ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო, მაგრამ აღვნიშნავთ კი, რომ მგოსანმა განსაცვიფრებელი სისწორით აღწერა პოემაში გმირებიც და მათი ხასიათი ზნე-ჩვეულებანი, სწორედ ისე როგორც ეს შეჰფეროდა მაჰმადიანთა ქვეყნის შვილებს მარტო ეს ფაქტიც კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ რა გავლენა მოუხდენია მაზე სპარსულ ლიტერატურას.*) ირანის ასეთი ზედგავლენა წამდა უწუმ შეუძლებელსა ჰყოფს გადაჭრით ითქვას რამე, რამდენად თავისებურია ესა თუ ის მოვლენა უძველეს ქართველთა ცხოვრებაში, არის ის ორგინალური თუ აქაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე როგორც გადმოღებულთან, რაც არავითარი რეალი-ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს ერისათვის.

ამას უნდა დაერთოს მესამე დაბრკოლებაც. რაკი-ლა საქართველომ ბევრი შფოთი განიცადა, არევ-დარევა, უძველეს ლიტერატურის ნაშთებმაც ვერ მიაღწიეს ნამდვილი თვისი სახით, ბევრი მათგანი არეულია, გადამწერელთა მიერ შერყვნილი. ამ მხრივ ყველაზე მეტი ზიანი სწორედ „ვეფხის ტყაოსანს“ მოუვიდა. ამ პოემას ზიანი მიაყენა არა თუ საუკუნეთა არეულობამ, არამედ ბერ-მონოზანთა იერიშისა გამო, რომელნიც ცდილობდნენ მის მოსპობას ჯერ კიდევ თამარის დროიდან, როგორც ანტიქრისტიანულ ხასიათისა და ფრიად მავნე ნაწარმოებისას. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც მოსპობის ნაცვლად შეკეთებას ჰლამობდნენ. ამ მიზნით ბევრმა თავისი აზრები ჩაურთო, გამოაკლო, გააფართოვა, შეამოკლა. ერთი სიტყვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასე შერყვნილი სახით არც ერთს ნაწარმოებს არ მოუღწევია ჩვენამდე, როგორც „ვეფხის ტყაოსანს“.

ირანული ზედგავლენა და ისტორიული ხასიათი ხელნაწერებისა ქართველთათვის თვითეულ სასიქადულო პოემას (მეთორმეტე საუკუნისას) ამგზავსებს კვლავ ქალის სინარნარეს, რომელსაც თავიდან ფეხამდე სპარსული ლეჩაქი მოუხვევია. თუ გვსურს შიშველვყოთ ქართულ ნაწარმოების ჩონჩხი. უნდა ეს უოცხოური და უკანასკნელი ხნის საბურველი მოეხადოს. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ საბურველის მოხდა ფრიად ძნელია, მისი მოხდით ხშირად კანსაც ვაცლით, რაიც ნაწარმოების განუყოფელ ქერქად უნდა ყოფილიყო დარჩენილი.

IV

ქალის კულტის გამოკვლევა ქართული ლიტერატურის მიხედვით ფრიად შემსუბუქდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა აკად. მარრის შესანიშნავი თხზულება. შეეცავს სპეციალ გამოკვლევას „ქალის კულტის“ შესასწავლად პოემის მიხედვით. მხოლოდ ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა წყვდიადის გაფანტვა. მარრი ემყარება საშუალო საუკუნის ქართულსა და სპარსულს ლიტერატურას, იკვლევს იმ დროინდელ სატრფიალო პოეზიას, ამ გამოკვლევის თანახმად ქალის კულტი საქართველოში იხსნის გამოცანის საბურველს და პარტიოტულ კვლევა-ძიების საგნის ნაცვლად მეცნიერულად დასაბუთებულ ფაქტად გარდაიქმნება. ამიტომაც შემდეგში ფართოდ ვისარგებლებ იმ დასკვნებით, რასაც დაადგა პროფ. მარრი.

გაიდეალიზებული სიყვარული ძირითადი საგანი გახლავსთ შოთას პოემისა. შეიძლება ითქვას, რომ იგი წინასწარი განზრახვით სწერს ამ პოემას, რათა ეს ტრფიალი გამოჰხატოს მთელი თავისი მომაჯადოვებელი თვისებით. პოემის შესავლის ტაეპი წარმოადგენენ შეუდარებელს უვერტიურას, როგორც სილამაზით, ისე დიდი აზრების ჩამოქანდაკებით. შოთას აზრით არსებობს ორგვარი სიყვარული. ერთი არის დაუდგრომელი, ცვალებადი, ანუ პოეტის სიტყვით რომ ვსთქვათ, "ჭილწი, მრუში". ასეთს სიყვარულში სული არ იღებს მონაწილეობას, იგი უაღრესად ტლანქია, მის სანუკვარ სწრაფვას შეადგენს „ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. ასეთი სიყვარულით გატაცებული ადამიანი ადვილად იტანს საყვარლის განშორებას, „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასაო“,—ამბობს მგოსანი. ასეთ სიყვარულის მაგალითი მოგვცა თვითონ მგოსანმა ხანმოკლე, იძულებითი დამოკიდებულება რო აგვიწერა ავთანდილისა ფატმანთან. ამ ქალის მოხვევნის დროს ავთანდილი როდი იშურებს ტუჩებს, ჰკოცნის. მაგრამ იმავე დროს თითქმის უზრდელად შეჰნიშნავს ფატმანს პირშივე; „ყვავი რომ ვარდსა იშოვის თავი ბულბული ჰგონიაო“,—ეს იყო პასუხი ფატმანის გატაცებულ გრძნობებზე, მის წერილის გასაცრუებლად, სადაც ეს ვნებისთვის გადამყოლი ქალი მას ახასიათებს როგორც „ვარდს“, რომელსაც „ბულბული ეჭირვებოდა“.

ასეთი როდია მეორე გვარი სიყვარული, ანუ მიჯნურობა: უმაღლესი ტრფიალების დანიშნულებაა შორით დგომა, შორით წვა და დაგვა საყვარელ არსებისთვის. „კარგი მიჯნური იგია, ვინც იქვს სოფლისა თმობასაო“.
—ამბობს მგოსანი და ბოლოს დასძენს

„ჰხამს, თავისსა ხვაშიადსა
არავისთან ამჟღავნებდეს.
არ ბედითად ჰაი ზმიდეს,
მოყვარესა აყივნებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა,
არა სადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს,
მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.

პოემაში ასეთ სიყვარულის განხორციელებას ჰპოვებენ ავთანდილი და თინათინი ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით ტარიელი და მისი ნესტან-დარეჯანი. სიყვარულით გატაცებული იგინი უარს ამბობენ ამ ქვეყნიურ სიტკბოებაზე, გარბოდნენ ველად, უდაბნოში და მთელი ათი წლობით გონების თვალით დასტრიალებენ საყვარელ არსების სახეს.

მიჯნურობის საზოგადო განსაზღვრის გარდა შოთა შესავალში მთელს კოდექს იძლევა სიყვარულის შესახებ, რასაც აუწერელი მნიშვნელობა აქვს საშუალო საუკუნის ქართველთა [მსოფლმხედველობისთვის. ამ კოდექსის თანახმად.

„მიჯნურსა თვალად სიტურფე
ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე,
სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა,
მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“...
მიჯნური უნდა იყოს წყნიერი, ენა
მახვილი:
„ვისცა ეს სრულად არა სჭირს,
აკლია მიჯნურთ ზნეობა“-ო.
ამბობს მგოსანი

ასეთი თვისებით დაუჯილდოვებია მგოსანს თავისი გმირები, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვები. აი, მაგალითად, სურათი რაინდულ სიყვარულით გატაცებული ავთანდილისა: „მოწყვეტილ ვარსკვლავსავით ეული, ჩასხმული, ძოწეულ სამოსით, ელვასავით მკვირცხლი; „ჯერ უწვერული, სადარო ბროლმინა საცნობარისა“, ტურფა ვაჟკაცი „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“. იგი მარჯვეა, მოკისკასე, არ ეკრძალება, რომ თვით მეფე როსტევანიც კი გაიწვიოს ბრძოლაში. იგი ჭეშმარიტი რაინდია, უკრავს ფანდურზე და საუცხოვო მომღერალიცაა. ერთი სიტყვით, ავთანდილი ყველა ღირსებით შემკო, რაიც შეყვარებულისთვის ასე რიგად საჭიროა.

როგორც რაინდი, შეყვარებული თავის სატრფოს მორჩილი ვასალი უნდა იყოს. თინათინი ავთანდილს გაჰგზავნის გადაკარგულ ტარიელის საძებნელად და ასე ეუბნება:

„ასე გითხრა, სიმახური
ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი
არვინა გყავს შენდა სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ,
დასტურია, არ ნაჭორად;
წადი, იგი მოყმე ეძებნე,
ახლოს იყოს თუნდა შორად“.

გამიჯნურებისას კალეულნი უბრძანებენ თავიანთ სატრფოს რაინდებს რაიმე საგმირო საქმე ჩაიდინონ. „წა, შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე“,—ეუბნება ნესტანი წერილში ტარიელს და აიძულებს ნორჩი ჭაბუკი წავიდეს სახელის მოსახვეჭად.

(ს.) ვ. გურკო

(შემდეგი იქნება)

---

*) ჩვენ ეს გარემოება ოდნავაც არ გვაშფოთებს. პირიქით. გვასალისებს კიდეც რომ რუსთაველმა ასე გენიოსურად ამოსწურა სიბრძნე აღმოსავლეთისა, ასე ხელმიწვდენით შეისწავლა იქაური ყოფა-ცხოვრება, ზნე ჩვეულება, რომ დღევანდელ მკვლევართ, ჰგონიათ, შოთას იქ უცხოვრია და ისე აუწერიათ. გენიოსთა ხვედრია ასეთი წერა. შექსპირი როცა რომაულ ცხოვრებიდან იღებდა სიუჟეტებს, ნამდვილი რომაული გეგონებოდათ, ვენეციიდან—ვენეციელი, დანიიდან კიდევ, დანიელი. მხოლოდ სუსტ მწერლების ხვედრია უცხო სიუჟეტის აღება. მხოლოდ ქურქის წამოსხმაში გამოჰხატონ ხოლმე, ზერელედ, ყალბად...

მთარგმნელის შენიშვნა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ქვემოთ მოხსენებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილით დახმარება გაგვიწიეს სოფელ სამიქავოს (სენაკის მაზრა) სამრევლო შკოლის შენობის აგებაში.

მათი სია; ხუთ-ხუთი მანეთი: რამინ ბეკოსძე მიქაძემ, ნიკოლოზ დავითის ძე მიქაძემ, № (მესამეს სახელი და გვარი ვერ გავიხსენეთ). სამ-სამი მანეთი: თედორე პეტრესძე კვანტალიანმა, ნიკო ვასილისძე მიქაძემ, არტემ ჩორგოლაშვილმა თითო მანეთი: ლევან ბოკერიამ და აკაკი შენგელიამ, სერაფიონ მიქაძემ, ნესტორ ჩორგოლაშვილმა, თეიმურაზ კაკაბაძემ, ლეონტი ბოკერიამ, კირილე ნადარეიშვილმა, ნინა მიქაძისამ, სევერიანე კაკულიამ, სილოვან ჩორგოლაშვილმა, ემელიან ჩორგოლაშვილმა, კლიმენტი ბოკერიამ, სევერიან რაზმაძემ, ნ. აკოპოვმა, ა. დ. ფ. გ., ვ. წ., მ. (უკანასკნელი ოთხის-სახელი და გვარი ვერ გავარჩიეთ). ათ-ათი შაური: ბესარიონ რაზმაძემ, ა. ბაკიძემ, ბ. (უკანასკნელი ერთის სახელი და გვარი ვერ გავარჩიეთ). ექვსი შაური—მ. დოდელიამ.—სულ 43 მ. 80 კ.

სოფ. სამიქავოს სამრევლო შკოლის წევრები გულითად მადლობას სწირავენ ზემოხსენებულ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილით გაუადვილეს მათ ტვირთი და ხელი შეუწყვეს სწავლა განათლების აღორძინებაში.

მზრუნველი მღვ. ი. **ბოკერია.**
სოფ. სამიქავო.

——

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში, რომ მით საშვალება მომცეთ პასუხი გავცე [illegible] კორესპონდენტს რომელმაც „თანამედროვე აზრის“ წარსულ №-ში მოათავსა [illegible] ჩემი დასამცირებელი და [illegible] ტორეობაზე.

ბ-ნო. კალე! ქ-ნ ეკ. ფხაკაძის ასულსა და ჩემ შორის დავაა ატეხილი რა რომ სამედიატორო სასამართლომდი მივიდა თუ გახსოვს, თქვენ მითხარით-- შენ მართალი ხარ, სკოლა ალსავსეა დეფექტებით“-ო! ერთი ორი საბუთიც კი დამისახელეთ რომელიც ნათლად მოწმობენ არსებულ პროგიმნაზიის უარყოფითი მხარეს. ამასთან რჩევა მომეცი მედიატორეთ თქვენ დამესახელებინეთ. ასეც მოვიქეცი-დაგასახელე მედიატორეთ და შემდეგ რას ვხედავ!.. „თ. აზრში“ ვკითხულობ თქვენს წერილს, „ადგილობრივი სიყალბეს სჩადის, მისი წერილი ტენდენციურია, სიმართლეს მოკლებული და მედიატორეობაზე ვარს ვაცხადებო„.

ღმერთმა თქვენ მტერს ნუ ჩაადენინოს ასეთი სიგლახე. შეიძლება მე ვსტყუოდე ამას ოფიციალური სასამართლო გამოარკვევს, მაგრამ თქვენ რათ დაგჭირდათ ასეთი თვალთმაქცობა? რათ დამასახელებინეთ თავი მედიატორეთ და ან, რაღაზე იუარეთ ჩემის შეურაცყოფით და დამცირებით? ეს თუ საკადრისია მიმინდვია „თანამედროვე აზრის“ რედაქციისათვის გა[illegible] რომელმაც არ მომცა საშვალება თქვენთვის პასუხი გამეცა. მიუხედავათ იმისა, რომ რედაქცია სამხედრო ცენზურის კანონის ძალით ვალდებული იყო პასუხი დაესტამბა, ვარი მტკიცა.

ადგილობრივი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

კბილის ექიმი რ. პ. ხვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
ტფილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

„სორაპანის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს
და ქ. ქუთაისში, თ. მთაცრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—4

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. პოსტავასი
ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.